ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 9

ქ. ლანჩხუთი **16.07.2024 წელი**
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**
კომისიის წევრები: ვლადიმერ ნანაძე, გიორგი იმნაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, გივი ცინცაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კარლო კვიტაიშვილი, კახაბერ ასკურავა, გოჩა ჯანაშია (შვებულება), გიორგი ჩახვაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,მაგთიკომი-სთვის (ს/ნ 204876606) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N29 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.
მომხრე 5; წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,მაგთიკომი-სთვის (ს/ნ 204876606) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მაგთიკომს" შორის 2007 წლის 5 დეკემბერს გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, ქ. ლანჩხუთში კოსტავას ქუჩა N37-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე (ს/კ 27.06.52.114) ანტენებისა და აპარატურის განთავსებაზე. 2024 წლის 18 აპრილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ შპს „მაგთიკომს" გაუგზავნა წერილი (კანცელარიის N–30-302410951), რომელშიც შპს „მაგთიკომისათვის" შეთავაზებული იქნა ახალი ხელშეკრულების გაფორმება განახლებული პირობებით, რაზედაც შპს „მაგთიკომმა" 2024 წლის 16 მაისის N ED-24/05/16-011 წერილით განაცხადა თანხმობა. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად შპს „მაგთიკომს" (ს/ნ 204876606) გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, ქ. ლანჩხუთში კოსტავას ქუჩა N37-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.114) სახურავზე 2 (ორი) კვადრატული მეტრი ფართი ანტენების - აპარატურების განსათავსებლად და ამავე შენობის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ფართობი 5 (ხუთი) წლის ვადით და მისი წლიურ საიჯარო ქირის ოდენობად განისაზღვროს 11 400 (თერთმეტი ათას ოთხასი) ლარი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შეასახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N29 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 1-ლი ივლისის N 08- 30241833 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N29 განკარგულების მე-2 მუხლის შინაარსში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობად, ნაცვლად - 1 196,62 (ათას ას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარისა, მითითებულია - 1996,62 (ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ტექნიკური შეცდომის გასწორება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N 29 განკარგულების მე-2 მუხლის შინაარსში და უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობად - 1 196,62 (ათას ას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარის მითითება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

დეპუტატმა გივი ცინცაძემ აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც განთავსებულია წყლის რეზერვუარი (ლესა-ჭინათი მარაგდება წყლით) ქართული კომპანიის მიერ მიმდინარეობს კარიერზე მუშაობა, კერძოდ; აფეთქებენ და იჭრება მთა, მიმდინარეობს ბურღვის პროცესი, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. ასევე, ამავე კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების გამო ცენტრალურ გზაზე არის მტვერი, რითაც შეწუხებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

,

ლაწჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა №9

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 16 ივლისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,მაგთიკომი-სთვის (ს/ნ 204876606) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შეასახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N29 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,მაგთიკომი-სთვის (ს/ნ 204876606) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შეასახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის N29 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

16.07. 2024 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	13 55	
2	ალექსანდრე მახათაძე	13 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	არ ესწრებოდა	
4	გიორგი იმნაიშვილი	13:55	
5	ვლადიმერ ნანაძე	13 55	
6	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
7	გივი ცინცაძე	13.54	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	შვებულებაში	